ჯანსულ კახიძის ქუჩა №2
(წინასაპროექტო არქიტექტურული კვლევა)


საკვლევი შენობა აღმაშენებლის გამზირთან ახლოს, ჯ. კახიძის (ყოფილი კრილოვის) ქ. №2-ში მდებარეობს. მთავარი ფასადით სახლი კრილოვის ქუჩის განაშენიანების რიგშია ჩართული, მისი ზურგის ფასადი და ფლიგელები კი განაშენიანებით მოსაზღვრულ ეზოში გადის.



კრილოვის ქ. №2.

აღმაშენებლის გამზირისა და მისი მიმდებარე ვრცელი უბნის წარმოქმნას, მისი ურბანული სტრუქტურისა და არქიტექტურული სახის ჩამოყალიბებას საფუძველი გერმანელმა კოლონისტებმა ჩაუყარეს, რომელთა ჩამოსახლება საქართველოში 1817 წლიდან დაიწყო. 1819 წლის ბოლოს საქართველოში უკვე რამდენიმე გერმანული დასახლება არსებობდა, რომელთაგან ორი თბილისში იყო, ორივე მტკვრის მარცხენა ნაპირზე – ე.წ. თბილისის კოლონია, რომელიც ქალაქის ერთ-ერთი გარეუბნის კუკიის ტერიტორიზე გაშენდა და ალექსანდერსდორფი დიდუბეში.

ამ ტერიტორიებზე თბილისის კოლონისტებმა ერთი და ორსართულიანი არქიტექტურულად გაფორმებული სახლების მშენებლობა წამოიწყეს. ახალ მშენებლობებს საფუძვლად ედო იმდროინდელ რუსეთის იმპერიაში გავრცელებული ზოგადი სტანდარტები, როგორც არქიტექტურული სტილები, ისე უსაფრთხოების წესები.



XX საუკუნის დასაწყისის ფოტოსურათი.

1824 წელს სოფელი კუკია და ალექსანდერდორფის დასახლება მთავარმართებელ გენერალ ერმოლოვის განკარგულებით ოფიციალურად შემოუერთეს ქალაქს. 1827 წლიდან იწყება ქალაქთან ახლად შემოერთებული უბნების კეთილმოწყობა: ქუჩები მითითების თანახმად უნდა დაგეგმარებულიყო - დანგრეულიყო ის ძველი შენობები, რომლებიც ქუჩების გაყვანას უშლიდა ხელს. სამშენებლო ტემპები განსაკუთრებით გაიზარდა 1880-იანი წლებიდან, მას შემდეგ რაც ვერის ხიდის საშუალებით მტკვრის სანაპიროები ერთმანეთს დაუკავშიდა.

“თბილისის კოლონია” მტკვრის პარალელურად ახლად წარმოქმნილი გზის ორსავ მხარეს განვითარდა – გერმანელ მოსახლეთა მართკუთხა

ნაკვეთების გეომეტრიულმა სისწორემ განსაზღვრა დღევანდელი აღმაშენებლის პროსპექტის და მისი მიმდებარე ტერიტორიების რეგულარული გეგმარება. ამას ხელს უწყობდა მტკვრის მარცხენა სანაპიროს ამ ნაწილის თანაბარი რელიფიც, რომლისათვისაც ქუჩების რეგულარულ ქსელად ჩამოყალიბება ორგანული იყო.

XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ამ უბნის განაშენიანების დღემდე არსებული გეგმარებითი სქემა. აქ აგებული შენობების უმეტესობა იმ პერიოდში გავრცელებულ ეკლექტიკურ ტენდენციებს ასახავს – კრილოვის ქუჩის განაშენიანების მხატვრულ-არქიტექტურული სახეც XIX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XX საუკუნის პირველ ათწლეულებში ჩამოყალიბდა და ბოლო დრომდე არსებითი ცვლილებების გარეშე იყო შემორჩენილი.



კრილოვის ქ. №2 – 2006 წლის ფოტოსურათი.

შენობა XX საუკუნის დასაწყისის არქიტექტურის მინიმალისტური ეკლექტიზმის ნიმუშია. საფასადო კომპოზიცია მარტივი სიმეტრიის პრინციპით იგება - ცენტრი აქცენტირებულია მცენარეული ორნამენტით გაფორმებულ კრონშტეინებზე ჩამოყრდნობილი ლითონის აჟურული აივნით. კომპოზიცია ფლანკირებულია რიზალიტისებრი არეებით - მათ ფასადის საერთო სიბრტყიდან, შენობის მთელ სიმაღლეზე, რუსტირებული "პილასტრები" გამოყოფს. ამ ნაწილში ღიობები უფრო განიერია და მეორე სართულზე მათ ქვეშ ფასადში რიკულების რიგია ჩასმული, რითაც იქმნება აივნების იმიტაცია.


ღიობები გამოყოფილია სწორკუთხა პროფილირებული ჩარჩოებით, რომლებიც დეკორატიული საჭექი ქვებითა და თაროებით გაფორმებული თავსართებით არის აღჭურვილი. შენობა პროფილირებული დეკორატიული კარნიზით გვირგვინდება.





აღმაშენებლის გამზ. №126 – ეზოს ფასადი.

ეზოს ფასადები წლების განმავლობაში არაერთხელ არის სახეცვლილი და პირველადი სახე დაკარგული აქვს. ამ მხარეს სახლს აღმაშენებლის გამზ. №126 შენობა ესაზღვრება, რომლის ეზოს ფასადი განახლებულია და ძალიან გამარტივებული. გარედან მიშენებული აქვს რამდენიმე მარშიანი ტლანქი კიბე. აღმაშენებლის გამზირის მხრიდან კი სართული აქვს დამატებული, რომლის ზურგის უსახური კედელი ეზოსკენ გამოდის, თუმცა მისი წაკითხვა, მხოლოდ მოპირდაპირე შენობის (კრილოვის ქ. №2) ზედა სართულებიდან არის შესაძლებელი.



კრილოვის ქ. №2 – ეზოს ფასადი.

ნაწილობრივ სახეცვლილია საკვლევი შენობის ეზოს ფასადიც, თუმცა თავდაპირველი სახით არის შემორჩენილი ფლიგელის ტორსოს კედელი – ფსევდორუსტებით მონიშნული კუთხის ნაწილითა და ღიობების მარტივად პროფილირებული ჩარჩოებით.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მიმართ განხორციელებული დაუდევარი მოპყრობის ერთ-ერთი, და არა ერთადერთი, მაგალითია კრილოვის ქუჩისა

და აღმაშენებლის გამზირის განაშენიანებაში. შენობას შარშან ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები ფასადი შეღებილია მოვარდისფრო ტონებში – გამოყენებულია ორი განსხვავებული, შედარებით ღია და მუქი, ტონი, როგორც ჩანს მრავალფეროვნების ეფექტის მისაღებად; თუმცა შენობა ჯერ კიდევ 2012 წლამდე შეარემონტეს და მას პირველადი ფერი ამ დროისათვის უკვე შეცვლილი ჰქონდა – ფასადი მაშინაც ვარდისფერით



იყო დაფერილი; ღიობების ძველი ხის ჩარჩოებიც მაშინ გამოცვალეს და მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯარა გამოიყენეს.

ნაჩქარევმა, უხეშმა ჩარევებმა გამოიწვია ძეგლის მახასიათებლების ხელყოფა და შენობამ ბუტაფორიულობისა და მდარე არქიტექტურის იერი მიიღო - საფასადო ფორმებს დაკარგული აქვს ელემენტარული პლასტიკა. შენობაში შესასვლელი ლითონის ცხაურით გაფორმებული ***სადარბაზოს ხის კარიც*** კი სქემატურად გამოიყურება.

დასკვნა და რეკომენდაციები

წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელება, შენობაზე მანსარდის სართულის მოწყობა, დასაშვებია, რამდენადაც ამგვარი ცვლილება არსებითად არ აისახება შენობის არქიტექტურულ სახეზე, რომელსაც ძეგლთადაცვითი რეჟიმის თვალსაზრისით “ძეგლის” მახასიათებლები დაკარგული აქვს (განახლებული და სახეცვლილია, როგორც მთავარი ფასადი, ისე

ინტერიერები. ეზოს მხარეს გამავალი ძველი სახით შემორჩენილი ტორსოს კედელი კი არ იძლევა ხელმოსაჭიდ მასალას).

ამასთან, იმ ვითარებაში, როდესაც აღმაშენებლის გამზირზე განხორციელდა მთელი წყება არაკორექტული, ნაჩქარევი ჩარევებისა, რამაც მთლიანად უცვალა სახე ძველ ღირებულ განაშენიანებას, აღნიშნულ ნაგებობაზე მანსარდის დაშენება დასაშვებად მიმაჩნია.

- ამ შემთხვევაში ანგარიში უნდა გაეწიოს განაშენიანების მასშტაბს.
- სასურველია არააქტიური ფორმებისა და პროფოლების გამოყენება, მაგალითად, არ უნდა გადაიტვირთოს არქიტექტურული დეტალებით. გასათვალისწინებელია მასშტაბური შესაბამისობა ნაგებობის საერთო პროპორციებთან.
- სამომავლოდ სასურველია ფასადის ხელმეორედ შეღებვა უფრო ადეკვატური დაფერვით.
- ამასთან, დასაშვებია მხოლოდ იმგვარი ჩარევა, რომელიც არ დააზიანებს შენობის კონსტრუქციას და საფრთხეს არ შეუქმნის მის მდგრადობას.

ხელოვნებათმცოდნე
მარინა ხატიაშვილი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძრვრება, 1801 – 1817 წწ. ტ. I, თბ., 1960, ტ. II, თბ., 1963;
2. თ. ბერიძე, თბილისის გარეუბნები, თბ., 1977;
3. თ. კვირკველია, ვ. ქურთიშვილი, გერმანელთა დასახლება თბილისში, ლიტერატურა და ხელოვნება, 1995, №1 – 6.